



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/15

ქ. თბილისი

5 მარტი 2021


2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის
შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის №01-05-04/32 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 5 მარტის სხდომის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგი წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბოკიძე

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგი

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრი დაიწყო 2021 წლის 15 მარტს;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების თეორიული ნაწილი წარიმართოს დისტანციურად;
3. არადისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვისას უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, დაევალოს ინფრასტრუქტურული მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს (ნ. ნებიერიძე);
4. დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით;
5. სასწავლო მეცადინეობები ჩატარდეს 2021 წლის 15 მარტიდან 2021 წლის 03 ივლისის ჩათვლით;
6. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს 2021 წლის 10 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით, მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში, დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს 28 ივნისიდან შესაბამის დასკვნით გამოცდამდე, დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2021 წლის 05 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2021 წლის 19 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით;
7. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე პროსპექტუსების/კოლოკვიუმების (არსებობისას) განხილვა, როგორც წესი, განხორციელდეს სასწავლო კომპონენტებისათვის გათვალისწინებული დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ვადაში;
8. დისერტაციის წინასწარი დაცვა, როგორც წესი, ჩატარდეს 2021 წლის 04 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით (იხ. დანართი);
9. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად;
10. შუასემესტრული გამოცდების კვირაში სასწავლო მეცადინეობები არ დაიგეგმოს.